საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/107 " 31 " ივლისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის
მეორე ეტაპზე პ. ნოზაძის დაშვების შესახებ

„მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე კანდიდატების დაშვების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის №1/104 განკარგულების „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსზე დარეგისტრირებულ კანდიდატ პაატა ნოზაძეს მიეცა დამატებითი ვადა კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტის - ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობის, წარმოდგენისათვის. კანდიდატმა პ. ნოზაძემ, განკარგულებით დადგენილ ვადაში (2020 წლის 27 ივლისს), წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 დადგენილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის" 12[1] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, პაატა ნოზაძე დაშვებულ იქნეს 2020 წლის ივნისის თვის მოსამართლეობის შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი